

საბჭოს 2001 წლის 20 ივლისის 2001/55/EC დირექტივა

გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევაში მათთვის დროებითი დაცვის მინიჭებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის ასეთ პირთა მიღებისა და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობის გადანაწილების მინიმალური სტანდარტების შესახებ

ოფიციალური ჟურნალი L 212 , 07/08/2001 P. 0012 - 0023

საბჭოს დირექტივა 2001/55/EC

2010 წლის 20 ივლისი

გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევაში მათთვის დროებითი დაცვის მინიჭებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის ასეთ პირთა მიღებისა და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობის გადანაწილების მინიმალური სტანდარტების შესახებ

ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, განსაკუთრებით, მისი 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს, ითვალისწინებს რა, კომისიის წინადადებას (1),

ითვალისწინებს რა, ევროპის პარლამენტის მოსაზრებას (2),

ითვალისწინებს რა, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას (3),

ითვალისწინებს რა, რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას (4),

ვინაიდან:

- (1) თავშესაფრის ერთიანი პოლიტიკა, თავშესაფრის ერთიანი ევროპული შეთანხმებების ჩათვლით, უნდა შემუშავდეს ევროპის კავშირის იმ ამოცანის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის თანმიმდევრულ შექმნას. აღნიშნული სივრცე ღია უნდა იყოს მათთვის, ვინც, გარემოებათა გამო, ევროპის კავშირში კანონიერად ითხოვს დაცვას.
- (2) ბოლო წლებში, ევროპაში საგრძნობლად იმატა ისეთ გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევებმა, რომლებსაც თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში

დაბრუნება არ შეუძლიათ. ასეთ შემთხვევებში, დროებითი დაცვის მინიჭების მიზნით, შეიძლება განსაკუთრებული სქემების შექმნა გახდეს საჭირო.

- (3) 1992 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს ლონდონში, ხოლო 1993 წლის 1 და 2 ივნისს - კოპენჰაგენში იმიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელ მინისტრთა შორის შეხვედრები გაიმართა. ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტის შედეგად გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით გაკეთებულ დასკვნებში წევრმა სახელმწიფოებმა და გაერთიანების ინსტიტუტებმა გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გამო შეშფოთება გამოხატეს.
- (4) 1995 წლის 25 სექტემბერს საბჭომ მიიღო რეზოლუცია გადაადგილებულ პირთა დროებით მიღებასა და ბინადრობასთან დაკავშირებული ვალდებულებების გაზიარების შესახებ (5), ხოლო 1996 წლის 4 მარტს მიიღო დადგენილება 96/198/JHA გადაადგილებულ პირთა დროებით მიღებასა და ბინადრობასთან დაკავშირებული ვალდებულების გაზიარების საგანგებო პროცედურის შესახებ (6).
- (5) საბჭოსა და კომისიის 1998 წლის 3 დეკემბრის სამოქმედო გეგმა (7) მესამე ქვეყნებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომლებსაც წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება არ შეუძლიათ, ამსტერდამის ხელშეკრულების შესაბამისად, ითვალისწინებს დროებითი დაცვის მინიჭების მინიმალური სტანდარტების მიღებას, რომლებიც წევრ სახელმწიფოთა შორის გადაადგილებულ პირთა მიღებასა და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობას დააბალანსებს.
- (6) 1999 წლის 27 მაისს საბჭომ კოსოვოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ დასკვნები შეიმუშავა. აღნიშნული დასკვნები კომისიასა და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ კოსოვოს კრიზისზე საკუთარი რეაგირების შედეგები, რათა შემდგომი ღონისძიებები ხელშეკრულების შესაბამისად შემუშავდეს.
- (7) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს, ტამპერეში გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე, ევროკულმა საბჭომ აღიარა, რომ გადაადგილებულ პირთა დროებითი დაცვის საკითხზე შეთანხმება წევრ სახელმწიფოთა შორის სოლიდარობის საფუძველზე უნდა მოხდეს.
- (8) აქედან გამომდინარე, საჭიროა, დადგინდეს მინიმალური სტანდარტები გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევაში მათთვის დროებითი დაცვის მინიჭებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის ასეთ პირთა მიღებასა და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობის დაბალანსების მიზნით.
- (9) ეფექტურობის, თანმიმდევრულობისა და სოლიდარობის მიღწევისა და, განსაკუთრებით, ხელმეორედ გადაადგილების თავიდან აცილების მიზნით, ეს სტანდარტები და ღონისძიებები ურთიერთდაკავშირებული და

ურთიერთდამოკიდებულია. აქედან გამომდინარე, მათი ამოქმედება ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტით უნდა მოხდეს.

- (10) აღნიშნული დროებითი დაცვა წევრ სახელმწიფოთა მიერ ლტოლვილებთან დაკავშირებით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს უნდა შეესაბამებოდეს. კერძოდ, მან წინასწარ არ უნდა გადაწყვიტოს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი, რომელიც რეგულირდება ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციის შესაბამისად, 1967 წლის 31 იანვარს ნიუ-იორკის ოქმით მიღებული შესწორებების გათვალისწინებით, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული.
- (11) გათვალისწინებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მანდატი ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე სხვა პირებთან მიმართებით და უნდა განხორციელდეს ამსტერდამის ხელშეკრულების საბოლოო აქტზე თანდართული დეკლარაცია N17 ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების 63-ე მუხლის შესახებ, რომელიც ადგენს, რომ თავშესაფრის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისარსა და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციები უნდა ჩატარდეს.
- (12) მინიმალური სტანდარტები თავისთავად გულისხმობს, რომ წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან, შემოიღონ და შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი დებულებები პირთათვის, რომლებიც გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის დროს დროებითი დაცვით სარგებლობენ.
- (13) ამ დირექტივის დებულებათა განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, მესამე ქვეყნებიდან გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის ან გარდაუვალი მასიური შემოსვლის რეგულირებისთვის, როდესაც პირებს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება არ შეუძლიათ, მათთვის შეთავაზებული დაცვას შეზღუდული ხანგრძლივობა უნდა ჰქონდეს.
- (14) გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის ფაქტი უნდა დადგინდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს წევრი სახელმწიფოებისთვის იმ გადაადგილებულ პირებთან მიმართებით, რომლებსაც გადაწყვეტილება ეხება.
- (15) უნდა განისაზღვროს წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებები გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის დროს დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა მიღებისა და ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით. ეს ვალდებულებები სამართლიანი უნდა იყოს და მოცემულ პირთა დაცვის სათანადო დონეს უზრუნველყოფდეს.

- (16) იმ პირთა მიმართ მოპყრობა, რომლებიც, ამ დირექტივის საფუძველზე, დროებითი დაცვით სარგებლობენ, წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო სამართლის იმ დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე უნდა უზრუნველყონ, რომელთა ხელმომწერნიც ისინი არიან და რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას.
- (17) საბჭოსთან შეთანხმებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა დაიცვან პირადი მონაცემების დამუშავების სტანდარტი, რომელიც ევროპის პარლამენტისა და პირად მონაცემთა დამუშავებისა და ასეთ მონაცემთა თავისუფალი გავრცელების თვალსაზრისით ინდივიდუალურ პირთა დაცვის შესახებ საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივაშია ჩამოყალიბებული (8).
- (18) უნდა შემუშავდეს გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის დროს დროებითი დაცვის კონტექსტში თავშესაფარზე წვდომის მარეგულირებელი წესები, რომლებიც წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებსა და ხელშეკრულებას უნდა შეესაბამებოდეს.
- (19) გათვალისწინებული უნდა იყოს პრინციპები და ღონისძიებები, რომლებიც წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებას დაარეგულირებს და სპეციალური ზომები იმ პირთა მიმართ, რომელთაც დროებითი დაცვის ვადა ამოეწურათ.
- (20) გათვალისწინებული უნდა იყოს სოლიდარობის მექანიზმის შექმნა, რომელიც, გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევაში, მათთვის დროებითი დაცვის მინიჭებისა და მიღებასა და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობის წევრ სახელმწიფოთა შორის დაბალანსებას შეუწყობს ხელს. მექანიზმი ორ კომპონენტს უნდა შეიცავდეს. პირველი კომპონენტი ფინანსურია, ხოლო მეორე წევრ სახელმწიფოებში პირთა ფიზიკურ მიღებას ეხება.
- (21) დროებითი დაცვის განხორციელებისთვის საჭიროა ადმინისტრაციული ხასიათის თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოთა შორის, კომისიასთან კონტაქტით.
- (22) საჭიროა, განისაზღვროს გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის დროს გარკვეულ პირთა დროებითი დაცვისაგან გამორიცხვის კრიტერიუმები.
- (23) ვინაიდან შემოთავაზებული ქმედების მიზნები, კერძოდ, გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევაში მათთვის დროებითი დაცვის მინიჭებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის ასეთ პირთა მიღებისა და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობის გადანაწილების მინიმალური სტანდარტების შექმნა, შეიძლება სათანადოდ ვერ იქნეს მიღწეული წევრი სახელმწიფოების მიერ და, ამიტომ, შეთავაზებული ქმედებების მასშტაბებისა და შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება უკეთ იქნეს მიღწეული თანამეგობრობის დონეზე. თანამეგობრობას შეუძლია, ზომები მიიღოს სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების მე-5 მუხლით არის დადგენილი. ამ მუხლში ჩამოყალიბებული პროპორციულობის

პრინციპის შესაბამისად, ეს დირექტივა ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელ ფარგლებს არ სცდება.

- (24) გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროპის კავშირის ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, 2000 წლის 27 სექტემბერის წერილით, გაერთიანებულმა სამეფომ ამ დირექტივის მიღებასა და გამოყენებაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა.
- (25) ზემოხსენებული ოქმის 1-ელი მუხლის შესაბამისად, ირლანდია ამ დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს. შესაბამისად და ზემოხსენებული ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გარეშე, ამ დირექტივის დებულებები ირლანდიაზე არ ვრცელდება.
- (26) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროპის კავშირის ხელშეკრულებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, დანია ამ დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს და არ ეკისრება ვალდებულებები მის საფუძველზე.

იღებს წინამდებარე დირექტივას:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ამ დირექტივის მიზანი გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევაში მათთვის დროებითი დაცვის მინიჭებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის ასეთ პირთა მიღებისა და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობის გადანაწილების მინიმალური სტანდარტების შექმნაა.

მუხლი 2

ამ დირექტივის მიზნებისთვის:

(ა) „დროებითი დაცვა“ ნიშნავს გამონაკლისი ხასიათის პროცედურას, რომელიც, მესამე ქვეყნებიდან გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის ან გარდაუვალი მასიური შემოსვლის შემთხვევაში, როდესაც პირებს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება არ შეუძლიათ, მათ დაუყოვნებელ და დროებით დაცვას უზრუნველყოფს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ასევე არსებობს რისკი, რომ თავშესაფრის სისტემა ვერ შეძლებს მასიური შემოსვლის დამუშავებას მისი ეფექტიანი საქმიანობისთვის

ზიანის მიყენების გარეშე, მოცემულ პირთა და სხვა პირთა ინტერესების შესაბამისად, რომლებიც დაცვას ითხოვენ;

(ბ) „ჟენევის კონვენცია“ ნიშნავს 1951 წლის 28 ივლისის კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 1967 წლის 31 იანვრის ნიუ-იორკის ოქმით მიღებული შესწორებების გათვალისწინებით;

(გ) „გადაადგილებული პირები“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც იძულებული იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი წარმოშობის ქვეყანა ან რეგიონი, ან მოხდა მათი ევაკუაცია, განსაკუთრებით, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით და არ შეუძლიათ უსაფრთხო და სტაბილურ პირობებში დაბრუნება მათ ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო და რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდნენ ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის „ა“ პუნქტს ან სხვა საერთაშორისო ან ეროვნული დოკუმენტებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვას უზრუნველყოფს, კერძოდ, გადაადგილებულ პირთა შორის არიან:

(i) პირები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის ან ენდემური ძალადობის ტერიტორიებიდან გაიქცნენ;

(ii) ადამიანის უფლებათა განზოგადებული დარღვევების მსხვერპლნი ან პირები, რომლებიც ასეთი დარღვევების სერიოზული რისკის წინაშე დგანან;

(დ) „მასიური შემოსვლა“ ნიშნავს თანამეგობრობაში დიდი რაოდენობის გადაადგილებულ პირთა შემოსვლას, რომლებიც მოდიან კონკრეტული ქვეყნიდან ან გეოგრაფიული ტერიტორიიდან, როგორც სპონტანური შემოსვლის, ისე - დახმარების მეშვეობით, მაგალითად, ევაკუაციის პროგრამის შესაბამისად შემოსვლის შემთხვევაში;

(ე) „ლტოლვილი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის „ა“ პუნქტის მნიშვნელობით;

(ვ) „თანხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს თვრამეტი წლის ასაკამდე, რომელიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შედის ისეთი ზრდასრული პირის თანხლების გარეშე, რომელიც პასუხისმგებელია მასზე კანონის ან ჩვეულების საფუძველზე და იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ ასეთი პირი მასზე ეფექტურ ზრუნვას არ განახორციელებს; თანხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი ასევე არის პირი, რომელიც თანხლების გარეშე დატოვეს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ.

(ზ) „ბინადრობის უფლება“ ნიშნავს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ, წევრი სახელმწიფოს ორგანოს მიერ გაცემულ ნებისმიერ ნებართვას ან ცნობას, რომლის საფუძველზეც მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან

მოქალაქეობის არმქონე პირს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება აქვს.

(თ) „სპონსორი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც წევრი სახელმწიფოს დროებითი დაცვით სარგებლობს მე-5 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად და რომლის ოჯახის წევრებსაც მასთან გაერთიანება სურთ.

მუხლი 3

1. დროებითი დაცვა ჟენევის კონვენციის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის აღიარების საკითხს წინასწარ არ განსაზღვრავს.
2. წევრი სახელმწიფოები დროებით დაცვას ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა შესაბამისად და გაძევების დაუშვებლობის პრინციპის სათანადო პატივისცემით იყენებენ.
3. დროებითი დაცვის დადგენა, განხორციელება და შეწყვეტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისსა და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარული კონსულტაციების საფუძველზე ხდება.
4. ეს დირექტივა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც დროებითი დაცვის სქემების წევრები ამ დირექტივის ძალაში შესვლამდე გახდნენ.
5. ეს დირექტივა ზემოქმედებას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების პროეროგატივაზე, დააწესონ ან შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი პირობები დროებითი დაცვის სქემებში ჩართული პირებისთვის.

თავი II

დროებითი დაცვის ხანგრძლივობა და განხორციელება

მუხლი 4

1. მე-6 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, დროებითი დაცვის ხანგრძლივობა ერთი წელია. თუ მისი შეწყვეტა მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დებულებათა შესაბამისად არ ხდება, იგი შეიძლება ექვსთვიანი პერიოდებით, არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში, ავტომატურად გაგრძელდეს.
2. როდესაც დროებითი დაცვის მიზეზები კვლავ არსებობს, საბჭოს შეუძლია კვალიფიცირებული უმრავლესობით, კომისიის წინადადებით მიიღოს გადაწყვეტილება. კომისია ამ დროებითი დაცვის ვადის ერთ წლამდე

გახანგრძლივების შესახებ წინადადების წარდგენის თაობაზე წევრი სახელმწიფოების ნებისმიერ თხოვნას განიხილავს.

მუხლი 5

1. გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის ფაქტს ადგენს საბჭოს დადგენილება, რომელსაც იგი იღებს კვალიფიციური უმრავლესობით, კომისიის მიერ წარდგენილ წინადადებაზე, რომელიც ასევე განიხილავს წევრი სახელმწიფოს ნებისმიერ თხოვნას საბჭოსთვის წინადადების წარდგენის თაობაზე.
2. კომისიის წინადადება, სულ მცირე, მოიცავს შემდეგს:
 - (ა) იმ კონკრეტულ პირთა ჯგუფების აღწერა, რომელზეც დროებითი დაცვა უნდა გავრცელდეს;
 - (ბ) დროებითი დაცვის სქემის ძალაში შესვლის თარიღი;
 - (გ) გადაადგილებულ პირთა გადაადგილების მასშტაბის შეფასება.
3. საბჭოს დადგენილებას დროებითი დაცვის ეფექტი ყველა წევრ სახელმწიფოში აქვს იმ გადაადგილებულ პირთათვის, რომლებსაც იგი ამ დირექტივის დებულებათა შესაბამისად ეხება. დადგენილება, სულ მცირე, მოიცავს შემდეგს:
 - (ა) პირთა კონკრეტული ჯგუფების აღწერა, რომლებზეც დროებითი დაცვის სქემა უნდა გავრცელდეს;
 - (ბ) დროებითი დაცვის სქემის ძალაში შესვლის თარიღი;
 - (გ) წევრი სახელმწიფოებისაგან მიღებული ინფორმაცია გადაადგილებულთა მიღებასთან დაკავშირებით მათი შესაძლებლობების შესახებ;
 - (დ) კომისიისაგან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული ინფორმაცია.
4. საბჭოს დადგენილება ეყრდნობა:
 - (ა) გადაადგილებულ პირთა სიტუაციის და გადაადგილების მასშტაბის შესწავლას;
 - (ბ) დროებითი დაცვის დადგენის გონივრულობის შეფასებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილზე გადაუდებელი დახმარებისა და მოქმედების საჭიროების ალბათობა ან ასეთ ღონისძიებათა შეუსაბამობა;
 - (გ) წევრი სახელმწიფოებისაგან, კომისიისაგან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული ინფორმაცია.
5. საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ევროპის პარლამენტს ეგზავნება.

მუხლი 6

1. დროებითი დაცვა უნდა დასრულდეს:
 - (ა) როდესაც დასრულდება დროებითი დაცვის მაქსიმალური ხანგრძლივობა; ან
 - (ბ) ნებისმიერ დროს, კომისიის წინადადების საფუძველზე საბჭოს კვალიფიცირებული უმრავლესობის მიერ მიღებული დადგენილებით. კომისია საბჭოსთვის წინადადების წარდგენის თაობაზე წევრ სახელმწიფოთა ნებისმიერ თხოვნას განიხილავს.
2. საბჭოს გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა და გამკვების დაუშვებლობის პრინციპის მიმართ წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების გათვალისწინებით, წარმოშობის ქვეყანაში არსებული სიტუაცია დროებითი დაცვის მქონე პირებს უსაფრთხო და გრძელვადიანი დაბრუნების საშუალებას აძლევს.

მუხლი 7

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ამ დირექტივით გათვალისწინებული დაცვა გაავრცელონ დამატებითი კატეგორიის პირებზე, იმ პირთა გარდა, რომლებიც საბჭოს მე-5 მუხლს ექვემდებარებიან, როდესაც ისინი იმავე მიზეზებითა და წარმოშობის ერთი და იმავე ქვეყნიდან ან რეგიონიდან გადაადგილდებიან. წევრმა სახელმწიფოებმა ამის შესახებ საბჭოს და კომისიას დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ.
2. 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლების დებულებები არ გამოიყენება 1-ელ პუნქტში მითითებულ შესაძლებლობებთან მიმართებით, გარდა სტრუქტურული დახმარებისა, რომელსაც, ამ დირექტივაში ჩამოყალიბებული პირობების საფუძველზე, 2000/596/EC(9) გადაწყვეტილებით შექმნილი ევროპის ლტოლვილთა ფონდი მოიცავს.

თავი III

წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებები დროებითი დაცვით მოსარგებლე

პირთა მიმართ

მუხლი 8

1. წევრი სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა დროებითი დაცვით მოსარგებლე პირები დაცვის მთელი პერიოდის განმავლობაში ბინადრობის ნებართვით იყვნენ უზრუნველყოფილნი. ამ მიზნით, უნდა გაიცეს შესაბამისი დოკუმენტი ან სხვა, თანაბარი ძალის მქონე ცნობა.

2. იმის მიუხედავად, თუ რა ვადით არის ძალაში 1-ელ პუნქტში მითითებული ბინადრობის ნებართვა, წევრი სახელმწიფოების მიერ დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა მიმართ მოპყრობა არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ეს მე-9 - მე-16 მუხლებში არის ჩამოყალიბებული.
3. საჭიროების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები დროებითი დაცვის მინიჭების მიზნით მათ ტერიტორიაზე დასაშვებ პირებს ვიზის (მათ შორის, ტრანზიტული ვიზის) მისაღებად საჭირო ყველა საშუალებით უზრუნველყოფენ. სიტუაციის გადაუდებელი ბუნებიდან გამომდინარე, ფორმალობები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ვიზა უნდა იყოს უფასო ან მისი ფასი მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

მუხლი 9

დროებითი დაცვით მოსარგებლე პირებს წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მათთვის გასაგებ ენაზე შედგენილი დოკუმენტით, რომელშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული დროებით დაცვასა და მათთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 10

მე-5 მუხლში მითითებული საბჭოს გადაწყვეტილების ეფექტური გამოყენების მიზნით, წევრი სახელმწიფოები აღრიცხავენ მათ ტერიტორიაზე დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა პირად მონაცემებს, რომლებიც II დანართის „ა“ პუნქტშია მითითებული.

მუხლი 11

წევრი სახელმწიფო უკან მიიღებს პირს, რომელიც მის ტერიტორიაზე დროებითი დაცვით სარგებლობს, თუ მოცემული პირი საბჭოს მე-5 მუხლში აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში უკვე იმყოფება ან ცდილობს, უნებართვოდ შევიდეს სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ეს მუხლი არ გამოიყენება.

მუხლი 12

დროებითი დაცვით გათვალისწინებული პერიოდის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები დროებითი დაცვით მოსარგებლე პირებს აძლევენ უფლებას, მოცემული პროფესიის შესაბამისი წესების დაცვით, დასაქმების ან თვითდასაქმების აქტივობებსა და ისეთ საქმიანობაში ჩაერთონ, როგორცაა ზრდასრულთა პროფესიული სწავლების შესაძლებლობები, პროფესიული განათლება და სამუშაო

ადგილზე პრაქტიკული გამოცდილების მიღება. შრომის ბაზრის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, პრიორიტეტი მიანიჭონ ევროკავშირის მოქალაქეებსა და ევროპის ეკონომიკური ზონის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, ასევე, ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც უმუშევრობის დახმარებას იღებენ. გამოყენებული უნდა იქნას წევრ სახელმწიფოებში მოქმედი ზოგადი კანონი, რომელიც ანაზღაურების, დასაქმებულთა ან თვითდასაქმებულთა სოციალური დაზღვევის სისტემაზე მისაწვდომობისა და დასაქმების სხვა პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

მუხლი 13

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ დროებითი დაცვით მოსარგებლე პირებს შესაფერის განთავსებაზე წვდომა ჰქონდეთ ან, საჭიროების შემთხვევაში, საცხოვრისისათვის საჭირო სახსრები მიიღონ.
2. თუ დროებითი დაცვით მოსარგებლე პირებს საკმარისი რესურსები არ აქვთ, წევრი სახელმწიფოები სოციალური კეთილდღეობისა და საარსებო საშუალებების კუთხით საჭირო დახმარებისა და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისთვის შესაბამის დებულებებს შეიმუშავებენ. მე-4 პუნქტის დარღვევის გარეშე, ჯანდაცვისათვის საჭირო დახმარება, სულ მცირე, სასწრაფო დახმარებასა და დაავადების გადაუდებელ მკურნალობას უნდა მოიცავდეს.
3. როდესაც დროებითი დაცვით მოსარგებლე პირი დაქირავებულ ან თვით დაქირავებულ საქმიანობაშია ჩართული, დახმარების შეთავაზებული დონის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათ მიერ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარი.
4. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ აუცილებელ სამედიცინო ან სხვა სახის დახმარებას დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთათვის, რომლებსაც სპეციალური საჭიროებები აქვთ, მაგალითად, თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვან პირთათვის ან მათთვის, ვინც წამების, გაუპატიურების ან სხვა სერიოზული ფსიქოლოგიური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყვნენ.

მუხლი 14

1. დროებითი დაცვით მოსარგებლე 18 წლამდე ასაკის პირებს წევრი სახელმწიფოები მასპინძელი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა თანაბარ პირობებში განათლებაზე წვდომით უზრუნველყოფენ. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ აღნიშნული წვდომა მხოლოდ სახელმწიფო განათლების სისტემაზე ვრცელდებოდეს.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დროებითი დაცვით მოსარგებლე ზრდასრული პირები ზოგადი განათლების სისტემაზე წვდომით უზრუნველყონ.

მუხლი 15

1. ამ მუხლის მიზნისთვის, იმ შემთხვევებში, როდესაც წარმოშობის ქვეყანაში ოჯახი უკვე არსებობდა და მათი განცალკევება მასობრივ შემოსვლასთან დაკავშირებული გარემოებების გამო მოხდა, ოჯახის წევრად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი პირები:

(ა) სპონსორის მეუღლე ან მისი პარტნიორი, რომელთანაც ქორწინებაში არ არის და აქვს სტაბილური კავშირი - იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა უცხოელებთან დაკავშირებული კანონის საფუძველზე დაუქორწინებელ წყვილს დაქორწინებული წყვილის თანაზომიერად განიხილავს; სპონსორის ან მისი მეუღლის არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილები, მიუხედავად იმისა, ისინი ქორწინებით ან ქორწინების გარეშე დაიბადნენ თუ შვილად აყვანილნი არიან;

(ბ) სხვა ახლო ნათესავები, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ, როგორც ოჯახის ერთეულის ნაწილი, იმ მოვლენათა დაწყებამდე, რომლებმაც მასიური შემოსვლა გამოიწვია და რომლებიც იმ დროისათვის მთლიანად ან ძირითადად სპონსორზე დამოკიდებულნი იყვნენ.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის ცალკეული წევრები სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში დროებითი დაცვით სარგებლობენ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ოჯახის წევრთა გაერთიანება იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევა, რომ ოჯახის წევრები 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღწერილ პირობებს აკმაყოფილებენ. ასეთი გაერთიანების დროს წევრმა სახელმწიფოებმა მოცემული ოჯახის წევრთა სურვილი უნდა გაითვალისწინონ. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მოახდინონ ოჯახის წევრთა გაერთიანება, თუ მათ მიაჩნიათ, რომ ოჯახის წევრები 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღწერილ პირობებს აკმაყოფილებენ. ასეთი გაერთიანების დროს, თითოეული საქმის განხილვისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ უკიდურესი სიდუხჭირე, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ოჯახი, თუ გაერთიანება არ მოხდება.

3. როდესაც სპონსორი ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში დროებითი დაცვით სარგებლობს, ხოლო ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი წევრ სახელმწიფოში ჯერ არ იმყოფება, წევრმა სახელმწიფომ, რომელშიც სპონსორი დროებითი დაცვით სარგებლობს, უნდა მოახდინოს სპონსორთან იმ ოჯახის წევრების გაერთიანება, რომლებსაც დაცვა ესაჭიროებათ, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ეს წევრები 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში

აღწერილ პირობებს აკმაყოფილებენ. წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს სპონსორთან იმ ოჯახის წევრების გაერთიანება, რომლებსაც დაცვა ესაჭიროებათ, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრები 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღწერილ პირობებს აკმაყოფილებენ. ასეთი გაერთიანების დროს, წევრმა სახელმწიფომმა, თითოეული საქმის შესაბამისად, უნდა გაითვალისწინონ უკიდურესი სიდუხჭირე, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ოჯახი, თუ გაერთიანება არ მოხდება.

4. ამ მუხლის გამოყენებისას წევრი სახელმწიფოები ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებენ.

5. 25-ე და 26-ე მუხლების გათვალისწინებით, მოცემული წევრი სახელმწიფოები იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ წევრ სახელმწიფოში მოხდება გაერთიანება.

6. გაერთიანებული ოჯახის წევრებს ბინადრობის ნებართვა დროებითი დაცვის სქემის საფუძველზე მიეცემათ. ამ მიზნით უნდა გაიცეს სპეციალური დოკუმენტი ან სხვა, თანაბარი ძალის მქონე ცნობა. მე-2 პუნქტის საფუძველზე გაერთიანების მიზნით წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ოჯახის წევრების გადაყვანის შედეგად, მათ უნდა შეუწყდეთ ბინადრობის ნებართვა იმ წევრ სახელმწიფოში, საიდანაც გადაყვანა მოხდა და მოცემულ წევრ სახელმწიფოს ამ პირთა დროებით დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები უნდა შეუწყდეს.

7. ამ მუხლის პრაქტიკული განხორციელებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

8. წევრი სახელმწიფო, სხვა წევრი სახელმწიფოს მოთხოვნით, II დანართში ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაცვით, დროებითი დაცვით მოსარგებლე პირის შესახებ გასცემს ინფორმაციას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად საკითხის განსახილველად არის საჭირო.

მუხლი 16

1. შესაძლო უმოკლეს დროში, წევრი სახელმწიფოები იღებენ ზომებს, რათა თანმხლებების გარეშე მყოფი დაცვით მოსარგებლე არასრულწლოვანი პირი უზრუნველყონ სამართლებრივი მეურვის აუცილებელი წარმომადგენლობით ან, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციის წარმომადგენლობით, რომელიც პასუხისმგებელია მცირეწლოვანთა ზრუნვასა და კეთილდღეობაზე, ან რაიმე სხვა შესაბამისი წარმომადგენლობით.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი დროებითი დაცვის პერიოდში იმყოფებოდეს:

(ა) ზრდასრულ ნათესავთან;

(ბ) მიმღებ ოჯახში;

(გ) ბავშვთა სპეციალურ მიმღებ ცენტრებში, ან განსახლების სხვა ადგილებში, რომლებიც არასრულწლოვან პირს შეესაბამება;

(დ) პირთან, რომელიც ბავშვს უვლიდა გაქცევამდე.

წევრი სახელმწიფოები განსახლების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ნაბიჯებს დგამენ. ზრდასრული პირისაგან ან მოცემული პირისაგან წევრმა სახელმწიფოებმა თანხმობა უნდა მიიღონ. ბავშვის აზრი მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად უნდა იყოს გათვალისწინებული.

თავი IV

თავშესაფრის პროცედურაზე წვდომა დროებითი დაცვის კონტექსტში

მუხლი 17

1. დროებითი დაცვით მოსარგებლე პირს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განაცხადის წარდგენა ნებისმიერ დროს შეუძლია.
2. როდესაც დროებითი დაცვის პერიოდში ვერ მოხდა თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განაცხადის შესწავლა, იგი ამ პერიოდის შემდეგ უნდა დასრულდეს.

მუხლი 18

თავშესაფრის განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს დადგენისას შესაბამისი კრიტერიუმები და მექანიზმები უნდა იქნას გამოყენებული. კერძოდ, წევრი სახელმწიფო, რომელიც დროებითი დაცვით მოსარგებლე პირის მიერ წარმოდგენილი თავშესაფრის განაცხადის ამ დირექტივის შესაბამისად განხილვაზეა პასუხისმგებელი, უნდა იყოს ის სახელმწიფო, რომელმაც პირის გადაცემის დროს იგი მის ტერიტორიაზე მიიღო.

მუხლი 19

1. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ განაცხადის განხილვის პროცესში პირი დროებითი დაცვითა და თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით ერთდროულად ვერ ისარგებლებს.

2. როდესაც თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვის შემდეგ არ ხდება ლტოლვილის ან სხვა შესაბამისი სტატუსის მინიჭება პირისათვის, რომელსაც დროებითი დაცვით სარგებლობის უფლება აქვს, წევრი სახელმწიფოები, 28-ე მუხლის დარღვევის გარეშე, უზრუნველყოფენ, რომ მოცემულმა პირმა დაცვის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში დროებითი დაცვით ისარგებლოს ან დროებითი დაცვით სარგებლობა გააგრძელოს.

თავი V

დაბრუნება და დროებითი დაცვის დასრულების შემდგომი ზომები

მუხლი 20

დროებითი დაცვის დასრულების შემდეგ გამოიყენება წევრ სახელმწიფოებში მოქმედი ზოგადი კანონები დაცვის შესახებ და უცხოელთა შესახებ, 21-ე, 22-ე და 23-ე მუხლების დარღვევის გარეშე.

მუხლი 21

1. წევრი სახელმწიფოები იღებენ ზომებს, რომლებიც დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთათვის ან მათთვის, ვისაც დროებითი დაცვით სარგებლობის ვადა დაუმთავრდა, ნებაყოფლობითი დაბრუნების უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების მარეგულირებელი დებულებები ხელს უწყობდეს მათ დაბრუნებას ადამიანის ღირსების დაცვით.

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ამ პირთა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ფაქტების სრული ცოდნის საფუძველზე მოხდეს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მოკვლევის მიზნით ვიზიტები განახორციელონ.

2. იმ დროისათვის, როდესაც დროებითი დაცვის ვადა ამოწურული არ არის, წევრი სახელმწიფოები, წარმოშობის ქვეყანაში შექმნილი გარემოებების საფუძველზე, კეთილგანწყობით განიხილავენ მიმღებ წევრ სახელმწიფოში დაბრუნების მოთხოვნას იმ პირებისაგან, რომლებიც დროებითი დაცვით სარგებლობდნენ და ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება გამოიყენეს.

3. დროებითი დაცვის ვადის დასრულებისას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, III თავში გათვალისწინებულ ვალდებულებათა საფუძველზე, ინდივიდუალურად გაუხანგრძლივონ ვადა პირებს, რომლებიც დროებითი დაცვით სარგებლობდნენ და ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამაში არიან ჩართულნი. ვადის გაგრძელება ძალაში იქნება დაბრუნების თარიღამდე.

მუხლი 22

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ იმ პირთა იძულებითი დაბრუნება, რომლებსაც დროებითი დაცვის ვადა დაუსრულდათ და რომლებიც მიღებას არ ექვემდებარებიან, ადამიანის ღირსების სათანადო პატივისცემით მოხდეს.
2. იძულებითი დაბრუნების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ნებისმიერი დამაჯერებელი ჰუმანიტარული მიზეზი, რომლის საფუძველზეც, კონკრეტულ შემთხვევებში, დაბრუნება შეუძლებელი ან არაგონივრულია.

მუხლი 23

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები იმ პირთა ბინადრობის პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც დროებითი დაცვით სარგებლობენ, ან რომლებსაც, გონივრული ვარაუდით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მგზავრობა არ შეუძლიათ - როდესაც, მაგალითად, ისინი შეიძლება მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში სერიოზული უარყოფითი შედეგების წინაშე დადგნენ. მათი გაძევება არ უნდა მოხდეს მანამ, სანამ ასეთი სიტუაცია არ შეწყდება.
2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ნება დართონ მშობლებს, რომელთა შვილებიც არასრულწლოვანნი არიან და წევრი სახელმწიფოს სკოლის მოსწავლეები არიან, ისარგებლონ ბინადრობის პირობებით, რომლის საფუძველზეც აღნიშნულ ბავშვებს შეუძლიათ, მიმდინარე სასკოლო პერიოდი დაასრულონ.

თავი VI

სოლიდარობა

მუხლი 24

ამ დირექტივით განსაზღვრული ზომებისთვის გამოყენებული უნდა იქნას ევროპის ლტოლვილთა ფონდი, რომელიც 2000/596/EC გადაწყვეტილებით, ამ გადაწყვეტილებაში განსაზღვრული პირობების საფუძველზე შეიქმნა.

მუხლი 25

1. წევრი სახელმწიფოები დროებითი დაცვის უფლების მქონე პირებს თანამეგობრობის სოლიდარობის სულისკვეთებით იღებენ. მათ უნდა მიუთითონ - ციფრებით ან ზოგადი პირობებით - ასეთ პირთა მიღების შესაძლებლობა. ეს ინფორმაცია უნდა ჩამოყალიბდეს საბჭოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მე-5 მუხლშია მითითებული. ამ

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მიუთითოს მიღებისთვის საჭირო დამატებით შესაძლებლობებზე, რომელთა შესახებაც იგი საბჭოსა და კომისიას აცნობებს. ეს ინფორმაცია გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს.

2. მოცემული წევრი სახელმწიფოები, კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ, რომ მათ ტერიტორიაზე მიღების სურვილი გამოხატონ პირებმა, რომლებიც მე-5 მუხლში მითითებული საბჭოს გადაწყვეტილებით დაცვის მიღების უფლების მქონე პირებად არიან განსაზღვრულნი, მაგრამ თანამეგობრობის ტერიტორიაზე ჯერ არ შემოსულან.

3. როდესაც მოულოდნელი და მასიური შემოსვლის შედეგად დროებითი დაცვის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 1-ელ პუნქტში მითითებულ მიღების შესაძლებლობებს აღემატება, საბჭო, გადაუდებელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სიტუაციას შეისწავლის და, ზემოქმედების ქვეშ მყოფი წევრი სახელმწიფოებისათვის დამატებითი დახმარების გაწევის შესახებ რჩევის გაცემის ჩათვლით, სათანადო ზომებს მიიღებს.

მუხლი 26

1. დროებითი დაცვის განმავლობაში, დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორე წევრ სახელმწიფოში ბინადრობის მიზნით გადაყვანის პროცესში, წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ასეთი გადაყვანა მოცემული პირის თანხმობით უნდა მოხდეს.

2. წევრმა სახელმწიფომ გადაყვანის შესახებ მოთხოვნა მეორე წევრ სახელმწიფოს უნდა გაუგზავნოს და ამის შესახებ კომისიასა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს უნდა შეატყობინოს. წევრი სახელმწიფოები მოთხოვნის წარმდგენ წევრ სახელმწიფოს გადაყვანას დაქვემდებარებულ პირთა მიღების თვალსაზრისით მათი შესაძლებლობების შესახებ აცნობებენ.

3. წევრი სახელმწიფო, სხვა წევრი სახელმწიფოს მოთხოვნის შემთხვევაში, მას დროებითი დაცვით მოსარგებლე პირის შესახებ ინფორმაციას აწვდის II დანართის შესაბამისად, რომლის მიმართაც ამ მუხლით განსაზღვრული საკითხის დარეგულირების საჭიროება არსებობს.

4. როდესაც ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში გადაყვანა ხდება, პირველ წევრ სახელმწიფოში ბინადრობის ნებართვა ვადაგასულად ცხადდება და მოცემული პირის მიმართ დროებითი დაცვის ვალდებულება უწყდება წევრ სახელმწიფოს, რომლიდანაც

მისი გადაყვანა ხდება. მოცემულ პირი დროებითი დაცვის მინიჭებით ახალმა მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

5. დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა წევრ სახელმწიფოთა შორის გადაცემისას, წევრი სახელმწიფოები I დანართში მითითებული გადაცემის მოდელით სარგებლობენ.

თავი VII

ადმინისტრაციული თანამშრომლობა

მუხლი 27

1. დროებითი დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ადმინისტრაციული თანამშრომლობის მიზნებისთვის, თითოეული სახელმწიფო ნიშნავს საკონტაქტო უწყებას, რომლის მისამართსაც აღნიშნული სახელმწიფოები ერთმანეთსა და კომისიას ატყობინებენ. წევრი სახელმწიფოები, კომისიასთან კომუნიკაციით, იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა კომპეტენტურ უწყებებს შორის პირდაპირი თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკა ჩამოყალიბდეს.

2. წევრი სახელმწიფოები დროებითი დაცვით მოსარგებლე პირთა რაოდენობის შესახებ მონაცემებსა და დროებითი დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების შესახებ სრულ ინფორმაციას რეგულარულად და შეძლებისდაგვარად სწრაფად გასცემენ.

თავი VIII

სპეციალური დებულებები

მუხლი 28

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, პირი გამორიცხონ დროებითი დაცვის სისტემიდან, თუ:

(ა) არსებობს სერიოზული საფუძველები ვარაუდისთვის, რომ:

(i) მას ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინაშე, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო დოკუმენტებში ასეთ დანაშაულებთან მიმართებით;

(ii) მას ჩადენილი აქვს სერიოზული არაპოლიტიკური ხასიათის დანაშაული მიმღები წევრი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, ამ სახელმწიფოში დროებითი დაცვით მოსარგებლე პირის სტატუსით მის მიღებამდე. უნდა მოხდეს მოსალოდნელი დევნის სიმწვავისა და იმ დანაშაულის ბუნების შეპირისპირება, რომლის ჩადენაშიც მოცემული

პირი არის ექვმიტანილი. განსაკუთრებით სასტიკ ქმედებებს, თუნდაც ისინი სავარაუდოდ პოლიტიკური მიზნით იყოს ჩადენილი, შეიძლება მიეცეს სერიოზული არაპოლიტიკური ხასიათის დანაშაულის კვალიფიკაცია. ეს ეხება როგორც დანაშაულის მონაწილეებს, ისე - მის წამქეზებლებს;

(iii) იგი არის დამნაშავე ისეთ ქმედებებში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება;

(ბ) არსებობს გონივრული საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს უქმნის მასპინძელი სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ან, ვინაიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით მსჯავრდებულა მძიმე დანაშაულისთვის, იგი საშიშია მასპინძელი წევრი სახელმწიფოს საზოგადოებისთვის.

2. 1-ელ პუნქტში მითითებული გამორიცხვის საფუძვლები მხოლოდ მოცემული პირის პირად ქცევას ეფუძნება. გამორიცხვის გადაწყვეტილების ან ღონისძიებების მიღებისას დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი.

თავი IX

დასკვნითი დებულებები

მუხლი 29

პირს, რომელიც წევრმა სახელმწიფომ დროებითი დაცვით ან ოჯახის გაერთიანებით სარგებლობის სქემიდან გამორიცხა, მოცემულ წევრ სახელმწიფოში სამართლებრივი სარჩელის შეტანის უფლება აქვს.

მუხლი 30

წევრი სახელმწიფოები შეიმუშავენ წესებს სანქციების შესახებ, რომლებიც ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული დებულებების დარღვევის შემთხვევაში იქნება გამოყენებული; ისინი ამ სანქციების განსახორციელებლად აუცილებელ ყველა ზომას მიიღებენ. დადგენილი სანქციები ეფექტიანი და პროპორციული უნდა იყოს და შემაკავებელი შედეგი უნდა ჰქონდეს.

მუხლი 31

1. არაუგვიანეს 32-ე მუხლში მითითებული თარიღისა, კომისია ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ამ დირექტივის გამოყენების შესახებ ანგარიშს წარუდგენს და საჭირო ცვლილებებს შესთავაზებს. წევრი სახელმწიფოები კომისიას ამ ანგარიშის შემუშავებისთვის საჭირო ყველანაირ ინფორმაციას აწვდიან.

2. 1-ელ პუნქტში მითითებული მოხსენების წარდგენის შემდეგ, კომისია ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ ამ დირექტივის გამოყენების შესახებ ანგარიშს, სულ მცირე, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ წარუდგენს.

მუხლი 32

1. წევრმა სახელმწიფოებმა 2002 წლის 31 დეკემბრამდე უნდა აამოქმედონ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც ამ დირექტივის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისთვის არის აუცილებელი. ამის შესახებ მათ კომისიას უნდა შეატყობინონ.

2. ამ ღონისძიებების მიღებისას, წევრი სახელმწიფოები მითითებას აკეთებენ ამ დირექტივაზე, ან, მათი გამოქვეყნების შემთხვევაში, თან ურთავენ ასეთ მითითებას. მითითების გაკეთების მეთოდებს წევრი სახელმწიფოები აყალიბებენ.

მუხლი 33

წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან შედის ძალაში.

მუხლი 34

წინამდებარე დირექტივა ეხება წევრ სახელმწიფოებს, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად.

შემუშავებულია ბრიუსელში, 2001 წლის 20 ივლისს.

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი

ჟ. ვანდე ლანოტე

(1) OJ C 311 E, 31.10.2000, გვ. 251.

(2) მოსაზრებები წარდგენილ იქნა 2001 წლის 13 მარტს (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ გამოქვეყნებული არ არის).

(3) OJ C 155, 29.5.2001, გვ. 21.

(4) მოსაზრებები წარდგენილ იქნა 2001 წლის 13 ივნისს (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ გამოქვეყნებული არ არის).

(5) OJ C 262, 7.10.1995, გვ. 1.

(6) OJ L 63, 13.3.1996, გვ. 10.

(7) OJ C 19, 20.1.1999, გვ. 1.

(8) OJ L 281, 23.11.1995, გვ. 31.

(9) OJ L 252, 6.10.2000, გვ. 12.

დანართი I

>PIC FILE= "L_2001212EN.002102.TIF">

დანართი II

ამ დირექტივის მე-10, მე-15 და 26-ე მუხლებში მითითებული ინფორმაცია, აუცილებლობის ფარგლებში, მოიცავს ერთ ან მეტ დოკუმენტს ან მონაცემს, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული:

(ა) მოცემული პირის პირადი მონაცემები (სახელი, ეროვნება, დაბადების თარიღი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, ოჯახური კავშირი);

(ბ) მოცემული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან სამგზავრო დოკუმენტები;

(გ) ოჯახური კავშირების დამადასტურებელი დოკუმენტები (ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა, შვილად აყვანის მოწმობა);

(დ) სხვა ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია პირის ვინაობის ან ოჯახური ურთიერთობის დასადგენად;

(ე) ბინადრობის ნებართვა, წევრი სახელმწიფოს მიერ მოცემული პირისთვის ვიზის ან ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებები და დოკუმენტები, რომლებიც გადაწყვეტილებათა მიღებისას გამოიყენეს;

(ვ) ბინადრობის ნებართვისა და ვიზის მიღების მიზნით მოცემული პირის მიერ წარდგენილი განაცხადები, რომლებსაც წევრი სახელმწიფო განიხილავს და მათი განხილვის ეტაპი.

წევრი სახელმწიფო, რომელიც აღნიშნულ პროცესს უზრუნველყოფს, ინფორმაციის მომთხოვნ სახელმწიფოს ნებისმიერი შესწორების შესახებ ატყობინებს.